



3885-15-15-2-202104230950



N 15-15/3885
23/04/2021

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბრეგაძეს

წინადადება

სპეციალური პენიტენციური სამსახურის N3 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის
[REDACTED] მიერ სატელეფონო საუბრის უფლებით სარგებლობის შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული
შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“
საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

ბატონო რატი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა სპეციალური პენიტენციური სამსახურის
N3 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის [REDACTED] საქმე, რომლის შედეგად
დგინდება, რომ N3 პენიტენციურ დაწესებულებაში შესაძლოა უკანონოდ იზღუდებოდეს
მსჯავრდებულის სატელეფონო საუბრის უფლება.

ფაქტობრივი გარემოებები

2021 წლის 29 იანვარს, მსჯავრდებული [REDACTED] დაუკავშირდა სახალხო დამცველის აპარატის
ცხელ ხაზს და განმარტა, რომ ვერ ახერხებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისა და
იურიდიული დახმარების სამსახურის ცხელი ხაზის ნომრებთან დაკავშირებას.¹

მსჯავრდებულმა იგივე საკითხი დააფიქსირა 2021 წლის 3 თებერვალს, N3 დაწესებულებაში
სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრის დროს და აღნიშნა, რომ 2021 წლის 29 იანვარსა
და 1 თებერვალს, სატელეფონო საუბრის უფლებით სარგებლობისას, სცადა სახელმწიფო
ინსპექტორის სამსახურსა (199) და იურიდიული დახმარების სამსახურში (14-85) დარკვა, თუმცა
მისთვის უცნობი მიზეზის გამო, აღნიშნულ უწყებებს ვერ დაუკავშირდა. [REDACTED] გამოთქვა
სურვილი, სატელეფონო საუბრის უფლებით შემდგომი სარგებლობისას, რწმუნებულთან ერთად
შეემოწმებინა მითითებულ ნომრებთან დაკავშირების შესაძლებლობა.²

¹ საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის 2021 წლის 29 იანვრის სატელეფონო ოქმი N3203-მ.

² საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულის 2020 წლის 3 თებერვლის მსჯავრდებულ
შეხვედრის ოქმი.

სახალხო დამცველის აპარატმა 2021 წლის 10 თებერვლის N15-15/1405 წერილით მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკურ დეპარტამენტს, [REDACTED] მიერ მითითებულ თარიღებში, სატელეფონო მომსახურების მიმწოდებელი კომპანიის მხრიდან ტექნიკური ხარვეზის არსებობისა და მისი აღმოფხვრის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით. ეკონომიკური დეპარტამენტის საპასუხო წერილით წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვისა და ინფორმაციულ-ტექნიკური უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს 2021 წლის 17 თებერვლის N01/43100 წერილით ირკვევა, რომ 2021 წლის 29 იანვარსა და 1 თებერვალს, პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი მსჯავრდებულები შეუფერხებლად სარგებლობდნენ სატელეფონო მომსახურებით და ახორციელებდნენ ზარებს დაუბრკოლებლად.³

2021 წლის 12 თებერვალს, სახალხო დამცველის რწმუნებულმა, მსჯავრდებულ [REDACTED] თანდასწრებით, მისი სატელეფონო ბარათის საიდენტიფიკაციო კოდის გამოყენებით, რამდენიმეჯერ სცადა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისა და იურიდიული სამსახურის ცხელი ხაზის ნომრებთან დაკავშირება, თუმცა ავტომობასუხის განმარტებით, მითითებულ ნომრებზე დაკავშირება შეუძლებელი იყო. ასევე ვერ მოხერხდა დაკავშირება სახალხო დამცველის რწმუნებულის პირად და სამსახურებრივ ნომრებზე.

ამავე შეხვედრისას, მსჯავრდებულმა წარმოადგინა სატელეფონო მომსახურების მიმწოდებელი კომპანიის, შპს [REDACTED] საპასუხო წერილი, რომლის თანახმად დგინდება, რომ კომპანიის მიერ არ ხორციელდება სატელეფონო ნომრების დაბლოკავა.⁴

N3 დაწესებულების დირექტორის მოადგილის თხოვნით, იმავე დღეს, სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ განმეორებით გადამოწმდა ზემოთ მითითებულ ცხელი ხაზის ნომრებსა და სახალხო დამცველის რწმუნებულის სააბონენტო ნომრებზე დაკავშირების შესაძლებლობა, თუმცა კავშირის დამყარება კვლავ ვერ მოხერხდა.⁵

დაწესებულების ადმინისტრაციამ სახალხო დამცველის რწმუნებულს მისცა მოცემული პრობლემის აღმოფხვრის პირობა.

2021 წლის 25 თებერვალს, სახალხო დამცველის რწმუნებული კვლავ იმყოფებოდა N3 პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც შეხვდა და გაესაუბრა მსჯავრდებულ [REDACTED]. [REDACTED] შეხვედრისას განმარტა, რომ 2021 წლის 12 თებერვლის შემდეგ კვლავ ისარგებლა სატელეფონო საუბრის უფლებით და ამჯერად უკვე შეუფერხებლად დაუკავშირდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურსა და იურიდიული დახმარების სამსახურს. თუმცა, არ უცდია სახალხო დამცველის რწმუნებულის სამსახურებრივ ნომერზე დაკავშირება.⁶

2021 წლის 17 მარტს, სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრისას, მსჯავრდებულმა [REDACTED] წარმოადგინა 29 (ოცდაცხრა) სააბონენტო ნომრის სია და განმარტა, რომ ამჯერად ვერ ახერხდა მათთან დაკავშირებას. აქედან გამომდინარე, კვლავ გამოთქვა სურვილი მითითებულ ნომრებზე დაკავშირების შესაძლებლობის სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ გადამოწმება და შესაბამისი ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, მის აღმოფხვრაში დახმარება.

³ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის 2021 წლის 20 თებერვლის 41795/01 წერილი.

⁴ შპს [REDACTED] 2021 წლის 5 თებერვლის N172/21 წერილი.

⁵ საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულის 2021 წლის 12 თებერვლის მსჯავრდებულ [REDACTED] შეხვედრის ოქმი.

⁶ საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულის 2021 წლის 25 თებერვლის მსჯავრდებულ [REDACTED] შეხვედრის ოქმი.

შესაბამისად, სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ, 2021 წლის 17 მარტს, კვლავ გადამოწმდა მსჯავრდებულ [REDACTED] მიერ წარმოდგენილ სიაში მითითებულ ნომრებთან დაკავშირების შესაძლებლობა. თუმცა, ავტომოპასუხის განმარტებით, მითითებულ ნომრებზე დაკავშირება შეუძლებელი იყო. ასევე ვერ მოხერხდა დაკავშირება სახალხო დამცველის რწმუნებულის სამსახურებრივ ნომერზე.⁷

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ N3 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მსჯავრდებულ [REDACTED] მსჯავრდებულის რისკის შეფასების მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განსაზღვრული აქვს საშიშროების მომეტებული რისკი, თუმცა მისივე თანხმობის საფუძველზე, განთავსებულია განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში.⁸ შესაბამისად, მასზე ვრცელდება დახურული ტიპის დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმი, არ აქვს N3 დაწესებულების დებულებით განსაზღვრული, ხუთი სააბონენტო ნომრის დაწესებულების ადმინისტრაციისთვის წინასწარ მითითების ვალდებულება და უფლებამოსილია სატელეფონო კავშირი დაამყაროს მისთვის სასურველ ნებისმიერ სააბონენტო ნომერთან.

სამართლებრივი დასაზუთება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (შემდგომში: „ევროპული სასამართლო“) პატიმრის პიროვნული განვითარების შესაძლებლობას, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარების და განვითარების უფლებას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროდ განიხილავს.⁹

ევროპული სასამართლოს პოზიციით, გარკვეული სახის კონტროლი გარესამყაროსთან პატიმრის კონტაქტზე აუცილებელია და არ ეწინააღმდეგება კონვენციას¹⁰. პატიმრობა, როგორც სხვა ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც უზღუდავს პირს თავისუფლებას, იწვევს პირადი და ოჯახური ცხოვრების თანდაყოლილი უფლების შეზღუდვას, თუმცა, აღნიშნული შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს კანონს და ემსახურებოდეს ერთ ან მეტ ლეგიტიმურ მიზანს. ამასთანავე, სახელმწიფოს მიერ პირადი ცხოვრების სფეროში ნებისმიერი სახის ჩარევა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მიჩნეულია აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში.¹¹

ევროპული ციხის წესების თანახმად, პატიმრებს ნებართვა უნდა მიეცეთ რაც შეიძლება ხშირად იქმნიონ ურთიერთობა წერილით, ტელეფონით თუ კომუნიკაციის სხვა საშუალებით თავიანთ ოჯახებთან, სხვა პირებთან და გარე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ასევე დაენიშნოთ პაემნები ამ ადამიანებთან.¹²

ნელსონ მანდელას 58-ე წესის შესაბამისად, პატიმარს უფლება აქვს, აუცილებელი ზედამხედველობის ქვეშ, დროის რეგულარული შუალედებით ურთიერთობა იქმნიოს ოჯახთან

⁷ საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულის 2021 წლის 17 მარტის მსჯავრდებულ [REDACTED] შეხვედრის ოქმი.

⁸ N3 პენიტენციური დაწესებულების 2021 წლის 7 აპრილის N80987/21 წერილი.

⁹ Al Nashiri v. Poland, §538, 28761/11, 24.07.2014.

¹⁰ Van der Ven v. Netherlands, §68, 50901/99, 4.02.2003.

¹¹ Moiseyev v. Russia, §246, 62936/00, 9.10.2008.

¹² ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 952-ე შეხვედრაზე), პუნქტი 24.1.

და მეგობრებთან წერილობითი გზით, ან თუ ეს შესაძლებელია, ტელეკომუნიკაციის, კომუნიკაციის ელექტრონული, ციფრული და სხვა სახის საშუალებების მეშვეობით.¹³

პატიმრის რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროცესში გარე სამყაროსთან კონტაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ოჯახთან, მეგობრებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობა ეხმარება ინდივიდებს წარმოიდგინონ მათი ცხოვრება გათავისუფლების შემდეგ და ეხმარება მათ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადებაში. ეს შესაძლებელია გახდეს ციხეში პატიმრების კარგი ქცევის არსებითი მოტივატორი და შეუძლია შეამციროს განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკი.¹⁴

გარე სამყაროსთან კომუნიკაციის დამყარება, ურთიერთობების შენარჩუნება და განვითარება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იქნება დახურული ტიპის პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულისთვის, რომელიც იზოლირებულია საზოგადოებისგან და მინიმალური შემხებლობა აქვს ოჯახის წევრებსა თუ ახლო ნათესავებთან. აქედან გამომდინარე, მინიმალური უნდა იყოს, ასევე, სახელმწიფოს ჩარევაც მითითებული უფლებით დაცულ სფეროში.

გარე სამყაროსთან კონტაქტის აუცილებლობა არ შეიძლება მხოლოდ მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის კონტექსტში განიხილებოდეს. პატიმრის უფლება და შესაძლებლობა უწყვეტი კავშირი ჰქონდეს ოჯახთან, ახლო ნათესავებთან, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, წარმოადგენს მისი დაცვის ერთ-ერთ ეფექტურ მექანიზმს წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის წინააღმდეგ.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი, რომელიც, თავის მხრივ, კრძალავს წამებას, არაადამიანურ თუ დამამცირებელ მოპყრობას, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, ნეგატიურ ვალდებულებასთან ერთად, სახელმწიფოებს აკისრებს გარკვეულ პოზიტიურ ვალდებულებას. ეს ვალდებულება ითვალისწინებს წამების ფაქტების ეფექტიან გამოძიებას და სათანადო ღონისძიებების განხორციელებას იმისთვის, რომ მათ ტერიტორიაზე მყოფი პირები არ დაექვემდებარონ არასათანადო მოპყრობას. გასათვალისწინებელია, ასევე, სასტიკი მოპყრობის ფაქტებზე რეაგირების სისწრაფე, რასაც შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთვის შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სახელმწიფოს ვალდებულებას განახორციელოს წამებისა და სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის სავარაუდო ფაქტების ეფექტიანი გამოძიება და მათი პრეცენცია, აფასებს როგორც ევროკონვენციის მე-3 მუხლის პოზიტიური ვალდებულების, ისე კონვენციის მე-13 მუხლის პერსპექტივიდან, რომელიც, თავის მხრივ, სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უზრუნველყოფის უფლებას განსაზღვრავს.

ევროკონვენციის მე-13 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალებით უზრუნველყოფის უფლება, შესაძლებელია, ასევე მოვიაზროთ საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსში, როგორც მისი პროცედურული მხარე.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო

¹³ გაეროს მინიმალური სტანდარტული წესების პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები), 1955 წ. პუნქტი 58-1,ა.

¹⁴ სახელმძღვანელო ნელსონ მანდელას წესების შესახებ - პატიმრებთან მოპყრობის შესახებ გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესების განხორციელება. წესი 58-1,ა. გვ. 129.

ქვემდებარეობა ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144¹-144³ მუხლებით, ასევე, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებითა და 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულზე, თუ იგი ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, აგრეთვე მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ.

აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში, არასათანადო მოპყრობის შესახებ შეტყობინება პენიტენციური დაწესებულებების მხრიდან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში არ იგზავნება. მსჯავრდებულთა მიერ გაგზავნილი კორესპონდენცია კი კონტროლდება დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ. ამასთანავე, არის შემთხვევები, როცა მსჯავრდებულის კორესპონდენცია არ ბარდება ან გვიან ბარდება ადრესატს.¹⁵

საგამოძიებო ორგანოსთვის წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე ინფორმაციის დაგვიანებით მიწოდება კი გამოძიების პროცესში სისხლის სამართლის საქმისთვის რელევანტური ვიდეო ჩანაწერის მოპოვების დამაბრკოლებელი ერთ-ერთი გარემოებაა¹⁶, რადგან პენიტენციურ დაწესებულებებში ელექტრონული მეთვალყურეობის განხორციელებისას, ინფორმაციის ჩაწერა მიმდინარეობს ავტომატურ რეჟიმში, რა დროსაც ჩამწერი მოწყობილობის მეხსიერების შევსებისას ხორციელდება ახალი ინფორმაციის ჩაწერა ამავე მოწყობილობის მეხსიერებაზე არსებული ინფორმაციის განადგურების შედეგად. ხოლო გადაღებული მსალა ინახება არანაკლებ 30 დღისა.¹⁷

შესაბამისად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ცხელ ხაზზე სატელეფონო კავშირის უფლების შეზღუდვით, შეიძლება დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება, ვინაიდან შეუძლებელი შეიძლება გახდეს წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე ეფექტური რეაგირება.

ნიშანდობლივია ისიც, რომ კორონავირუსის პანდემიის გამო პენიტენციურ დაწესებულებებში შემოღებული განსაკუთრებული პირობების გამო, პერმანის უფლების შეზღუდვის ფონზე, სატელეფონო საუბრის უფლება თვეების განმავლობაში წარმოადგენს გარე სამყაროსთან კომუნიკაციის ერთადერთ შესაძლებლობას. შესაბამისად, სატელეფონო საუბრის უფლებით, როგორც გარე სამყაროსთან კონტაქტის ერთ-ერთი საშუალებით, სარგებლობისას თუნდაც ტექნიკური დაბრკოლების არსებობა, პატიმარს დაუცველს ხდის მითითებული პოტენციური საფრთხეების მიმართ.

მსჯავრდებულ **როგორც** სამიშროების მომეტებული რისკის მქონე პატიმარს, უფლება აქვს ისარგებლოს სატელეფონო საუბრის უფლებით პატიმრობის კოდექსის 65-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმად, მსჯავრდებულს უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 3 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – ულიმიტო სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა.

¹⁵ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2020 წლის ანგარიში. ხელმისაწვდომია: <<https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040113411364936.pdf>>

¹⁶ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის 2020 წლის ანგარიში. ანგარიში ხელმისაწვდომია: <<https://www.personaldata.ge/ka/about-us#>>

¹⁷ საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის N35 ბრძანებით დამტკიცებული „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესი“, მუხ. 15.

დაკვერა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად, მოგმართავთ წინადადებით:

1. უზრუნველყოთ სპეციალური პენიტენციური სამსახურის N3 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის ██████████ მიერ სატელეფონო საუბრის უფლებით შეუფერხებლად სარგებლობა მისთვის სასურველ ნებისმიერ სააბონენტო ნომერზე, კანონით დადგენილი წესით;
2. სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების გზით, დადგინდეს, რა მიზეზით და ვის მიერ ეზღუდებოდა ██████████ სატელეფონო საუბრის უფლება.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები აცნობოთ სახალხო დამცველს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

დანართი: 12 (თორმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომჭარია

სახალხო დამცველი

